



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**G E O R G I A**  
**M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I**



განკარგულება:გ-65.65220211  
 თარიღი:21/01/2022

**საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო  
 კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, საპროექტო  
 იდეების მოწონების შესახებ“**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მეორე პუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N 628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მოწონებული იქნას „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებულ განვითარების პროგრამით“ გათვალისწინებული, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარსადგენი 16 საპროექტო იდეის განაცხადი:
  - 1.1 უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - გადიდში ტურისტული ზონის ინფრასტრუქტურის მოწყობა და მასთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
  - 1.2 უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - დინაშხოს გეიზერებთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
  - 1.3 უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - ისრითისა და შუამთის ისტორიული კომპლექსის აღდგენა და მათთან მისასვლელი გზების მოწყობა.
  - 1.4 უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - ტაბალუროს ტბასთან ტურისტული ინფრასტრუქტურისა და მასთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
  - 1.5 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე შენობის რეაბილიტაცია, მასში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მოწყობის მიზნით
  - 1.6 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით კორნელი კეკელიძის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.
  - 1.7 უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - გალაქტიონ და ტიცინან ტაბიძეების სახლ-მუზეუმების მიმდებარე ტურისტული ზონის რეაბილიტაცია.
  - 1.8 უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - ძულუხნის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე ძულუხურაზე მდებარე ლურღუშელას ჩანჩქერთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

- 1.9 უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით - დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე სულორის ჩახჩქერზე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.
  - 1.10 შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით გაენათის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
  - 1.11 ფერეთას ადმინისტრაციულ ერთეულში აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საავტომობილო გზის ( ჩაის გზა) რეაბილიტაცია.
  - 1.12 ციხესულორის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით (საქსურთას) საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
  - 1.13 მთისძირის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.
  - 1.14 სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა.
  - 1.15 სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ზეინდრის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.
  - 1.16 სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ქ. ვანში კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია.
2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს საპროექტო იდეის განაცხადების წარდგენა არსებული წესით.
  3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
  4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში(ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

